ოთხშაბათი 1919 წ. აპრილის 16 № 84
წელიწადი მეხუთე

ოთხშაბათი 1919 წ. აპრილის 16 № 84
ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

ხაგაზეთო მახალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

---

გულდამწვარნი მეუღლე ნინო ვლადიმერის ასული საყვარელიძისა შვილებითურთ, დედა ესაკია გიორგის ასული საყვარელიძისა, ძმა კალენიკე ალექსანდრეს ძე საყვარელიძე, რძალი მარიამ გრიგოლის ასული საყვარელიძისა, და ილია ალექსანდრეს ასული კვიტაშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ უძვირფასესის

**ამბერკი ალექსანდრეს ძის**

## საყვარელიძის

უდროვოთ გადაცვალებას ქ. თბილისში. გამოსვენება მოხდება მინკვიცევის ქუჩიდან № 3. 15 ამა აპრილს, დღით სამშაბათს ნაშუადღევის 5 საათზე რკინის გზის სადგურამდე, საიდგანაც წაასვენებენ ქ. ზესტაფონში და დაკრძალვა მოხდება 17 ამავე აპრილს—ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. 2—2296—2

---

ძმები: კონსტანტინე, იოსები, დავითი და შალვა სპირიდონის ძენი გუნცაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი დეიდაშვილის უდროვოდ გარდაცვალებას

**ამბერკი ალექსანდრეს ძის**

## საყვარელიძისას

გამოსვენება მოხდება ნაშუადღევის ხუთ საათზე 15 ამა აპრილს საკუთარი ბინიდან მინკვიჩევის ქ. 31, მიცვალებულს მიასვენებენ თბილისის სადგურზედ და წაასვენებენ ქ. ყვირილაში. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 აპრილს.

2—2297—2

---

გულდათუთქული დედა პელაგია მასხარაშვილისა, დები ელპიტი დალაქიშვილისა და ვასასი, რძალი მარიამ კონსტანტინეს ასული ძმისწული ვახტანგი, ძმები: ათანასე, წივანორი, მაკარი და პროკოფი გრიგოლისძე მასხარაშვილები და სიძე პეტრე თადეოზისძე დალაქიშვილი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს ცხრამეტ აპრილს ნაშუადღევის პირველ საათზედ ქ. თბილისში ქაშვეთის ეკლესიაში, ქ. ქუთაისში მთავარანგელოსის ეკლესიაში ქ. ფოთში სამხედრო სობოროში (კუნძულზე) და ს. პატარა ონში (რაჭა) წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახალციხის ფრონტზე გმირულად დაღუპულ მესამე რაზმის ვახმისტრის

**იაკინთე გრიგოლისძე მასხარაშვილის**

სულის მოსახსენებლად.

(1—2303—1)

---

კვირას, 13 აპრილს, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**თამარ ვასილის ასული**

## ფავლენიშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მიცვალებულის პაპა ივანე იასეს ძე, დიდიდედა ელისაბედ ალექსანდრეს ასული, დედის დები კატო და ნინო, ძალუა—ნინო, დედის ძმები იასე და მიხეილ თაქთაქიშვილები ცოლშვილით. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან ოთხშაბათს, 16 აპრილს, დილის 9 საათზე (ყაზბეგის გაუვალი, № 4) წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება დიდუბის ეკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა მიცვალებულისა მოხდება იმავე ეკლესიის გალავანში.

1—2304—1

---

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა ულრმეს მადლობას სწირავს ყველას ვინც მის განსვენებული მეუღლის

**ალექსანდრე ივანეს ძის**

## ჯამბაკურ-ორბელიანის

ხსოვნას პატივი სცა; პირადათ დაესწრო, ან წერილით თუ ტელეგრამით მწუხარებაში თანაგრძნობა გამოუცხადა.

1—2299—1

---

ხუთშაბათს, 17 აპრილს, ნახევარ წლის გარდაცვალების თავზედ

**კნეინა ნინო მიხეილის ასულ**

## ჩოლოყაშვილის

**დაბადებით ამილახვრის**

სულის მოსახსენებლად, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, განსვენებულის საფლავზედ გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

---

თურინჯა ალასიასძე ვლასოვი ოჯახობით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთ რომ კვირას 13 აპრილს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა საყვარელი მეგობარი

## ეგნატე ივანეს-ძე ნარსია

გამოსვენება და დაკრძალვა ქ. ქუთაისში ხუთშაბათს 17 აპრილს.

(1—2301—1)

---

მარიამ გრიგოლის ასული სიმონიშვილისა შვილებითურთ: იოსებით, ბარბარეთი, რომანით, ქეთევანით, შალვათი, ქსენიათი, ვახტანგ და გიორგით და რძლით ქეთევანი ივანეს ასულით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 ამა აპრილს ქ. გორში უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეულის შვილი და დანარჩენების მამიდაშვილი ყაზანის უმაღლეს კურსების მე-IV კურსის მსმენელი.

## პელო ლაშაური

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში დღეს ოთხშაბათს 16 აპრილს.

(1—2300—1)

---

ხუთშაბათს, 17 აპრილს, სოფ. ზანაში მაცხოვრის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დედა და შვილის

**პელაგია (პაზირხანი) დავითის ასულის და ილია (გოშია) კონსტანტინესძე ბერიძეების**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ღრმად დამწუხრებული დეკანოზი კოსტანტინე ბერიძე შვილებით ნიკოლოზ, შუშუ, ლიზა, ლიდია, ბაბუცა ბერიძეები, თეო ჩაჩიბაისა, დესია ფაქიძისა, საშა კეიდიასა და რძალი როზალია ბერიძისა.

---

**კონსერვატორიის დარბაზი**

**17 აპრილი**

**ტიციან ტაბიძის**

## პოეზიის საღამო

1.

**გერონტი ქიქოძე** „ახალი ქართული პოეზია“.

2.

**გრიგოლ რობაქიძე** „სიტყვა პოეზიას“.
**პაოლო იაშვილი** „მე და ტიციან ტაბიძე“.
**ალი არსენიშვილი** „ლოგოსი და ლოტოსი“.
**ილია ზდანევიჩი** „ფუტურიზმის აპოლოგია“.
**სერგეი გოროდეცკი** „ცისფერი ყანწები“.

3.

**კონფერენცია პოეტების**

გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გალ. ტაბიძე, სერგეი გოროდეცკი, შალვა ამირეჯიბი, ლელი ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ყანჩელი, შოთა დადიანი, ნიკო მიწიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, დ. კოპალი, სანდრო ჩაჩიკაშვილი, ილია ზდანევიჩი, სერგეი რაფალოვიჩი, ყარა დერვიში და სხვები.

**ტიციან ტაბიძე** წაიკითხავს თავის ახალ ლექსებს, წაკითხული იქნება აგრეთვე მისი ლექსების თარგმანები რუსულათ.

ბილეთები იყიდება კონსერვატ. დარბაზში და ქართულ საჩაიეში.

5—უ—3

---

**რესტორანი პ ა რ ი ზ ი რესტორანი**

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

**სრულიად ახლა გადაკეთებული**

## ცალკე მოწყობილ დარბაზებით

**გაიხსნა 14 მარტიდან**

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: **საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.**

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

## საგანგებო ყავა-ხანა

**ფასები ზომიერია**

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

ხასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—24 პატივისცემით: ს. გიგიბერია და გარ. გვათუა.

---

## ლეკურის კურსები

**მ ს ა ხ ი ო ბ**

## ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება სალამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—18

---

**პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო**

## საბავშო ბაღი

## გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

**მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.**

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2—04.

12—2289—4

---

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 16 აპრილს, წარმოდგენილი იქნება

## ჟ ი ლ ო ვ კ ა

მონაწილეობენ: ალეშკო, კანშინი, ისეცკი.

17 აპრილს „ფრა—დიავოლო“ და „ჰოფმანის ზღაპრები“, 18 აპრილს—დისპუტი თეატრზე.

---

## მთავრობა სად არის?

საქართველოს ოსობა არ ისვენებს. საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა თუ არა, ოსობა მაშინათვე შეუდგა საკუთარ დამოუკიდებლობის დამკვიდრებას საქართველოს საზღვრებში ოსეთის შექმნას. ეს შემოხიზნული და საქართველოს მიწა-წყალზე დამჯდარი ხალხი იარაღით აუჯანყდა საქართველოს ნორჩ დამოუკიდებლობას და საერთო გასაჭირის დროს დაუნდობელი ბრძოლა გაუმართა. დიდი მსხვერპლი და ზარალი გასწია საქართველომ ამ აჯანყების ჩასაქრობათ.

პირველ დამარცხების შემდეგ, ოსობა უფრო მეთოდიურად და უჩუმრად შეუდგა ოსთა შორის „სეპარაციისა“ და საქართველოს მიმართ მტრობა-მუხანათობის თესვას. მას აქეთ ყრუ და მტკიცე წინაალმდეგობას უწევდა ყოველთვის საქართველოს ხელისუფლებას. „სამხრეთ ოსეთში“ ჩვენი ადმინისტრაცია ვერ შედიოდა, ამ კუთხის მართვა-გამგეობას ოსთა ეროვნული საბჭო მიუძღოდა. უცილაჯო და სახელმწიფოებრივი შენების ცოდნას მოკლებული მთავრობა კი ამ ფაქტიურ ვითარებას იწყნარებდა და ოსობაც შეეჩვია ბატონობას „სამხრეთ ოსეთში“, მის ხელმწიფედ და ბედის გამგებლად ოსთა ეროვნულ ორგანიზაცია გარდაიქცა. ამგვარად, საქართველოს საზღვრებში თუ ერთის მხრით არსებობდა სრულიად საქართველოს ერთი მთავრობა, მეორეს მხრით მის გვერდით, საქართველოს ერთ ნაწილში ფაქტიურად ბატონობდა და გამგებლობდა აჯანყებული ოსობა.

ცხადია რომ ასეთი მთავრბა მოკლებული რჩებოდა ყოველგვარ ძალის პრესტიჟს აჯანყებული ოსობის თვალში. ამ ბოლო დროს ოსობა შეუდგა დამყარებულ ფაქტიურ ვითარების ლეგალიზაციას და მისთვის კანონიერ ფორმის მიცემას. იმუშავებს საარჩევნო კანონს „სამხრეთ ოსეთის“ დამფუძნებელ კრებისათვის. მთელი ოსობა დაადგა საქართველოსაგან განშორების გზას. ოსის სეპარატისტები ამ იდეას გაიტანენ საარჩევნო კომპანიაში, შეჰყრიან შესაფერ დამფუძნებელ კრებას, რომელიც გამოიტანს „სამხრეთ ოსეთის“ გამოყოფვის და ჩრდილო ოსეთთან მის დაკავშირების რეზოლიუციას.

ამ კავშირის ფაქტიურ განხორციელებისათვის ოსობა დიდი ხანია, რაც შეუდგა ლიახვის ხეობიდან როკის მთის გადასავალზე ფართე საურმე გზის გაყვანას.

ასე დაუსჯელად გვართმევს და გვიქუცმაცებს ტერიტორიას ოსობა; ასე გაბედულად ჰქმნის იგი ახალ სახელმწიფოს და ახალ ქვეყანას საქართველოს მიწა-წყალზე. ოსობა მეუფეობს და ხელმწიფებს, საქართველოს ერთ კუთხეში იწვევს თავის დამფუძნებელ კრებას რომ.. რომ საქართველო შუაზედ გაჰრას და ასაოხრებელი და ადვილ გასატიალებელი გახადოს ჩრდილოეთის მტრების მიერ.

ჩვენს მთავრობას სძინავს; იგი შეუპყრია უმოქმედობას და დამბლა-დაცემული მოწმე ხდება საქართველოს გაჩანაგებისა და მისი პოლიტიკური სიკვდილის შემზადებისა.

## ისევ საქართველოს საზღვრებისათვის

საცაა წლის თავი უნდა გადავუხადოთ თავისუფალ საქართველოს. ამ ერთ წელიწადში მან თითქო დაიმკვიდრა დამოუკიდებლობა და შექმნა მრავალი პირობა ახლად დაბადებულ ევროპიულ სახელმწიფოსი, მაგრამ ერთ დაბრკოლებას მაინც ვერ სძლია: მან ვერ შემოიხაზა თვისი მიჯნა, ვერ გამოარკვია თვისი საზღვრები და დღესაც ცეცხლითა და მახ-

# უკანასკნელი ცნობები

დრეზდენში ბრბომ გერმანიის სამხედრო მინისტრი მოჰკლა.

ინგლისის სარდლობამ ყარსის მთავრობა დააპატიმრა.

პოლონეთი დანციგსა და დასავლეთ პრუსიას მოითხოვს.

მურმანის მიმართულებით საბჭოთა ჯარი იხევს.

ტიხორეცკის მიმართულებით საბჭოთა ჯარმა გაიმარჯვა. ტყვედ იგდო 2 პოლკი.

საქსონიაში წესიერება თანდათან მყარდება.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარები მურმანზე განსაცდელშია.

მიუნხენში მღელვარებაა.

---

ვილით იკვლევს თავის ბუნებრივ კალაპოტს.

ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის ქედი—თვითონ ბუნებამ აგვიშენა. ჩრდილო-დასავლეთით იგი, როგორც ეტყობა, ისევ მახვილით უნდა წავწიოთ სოჭისკენ. დასავლეთით, თუ ოსმალეთს ალლაჰმა არ უღალატა და შეუნარჩუნა 1914 წლის საზღვრები, შეიძლება შევინარჩუნოთ წინანდელი მიჯნა. გაცილებით უფრო რთული და ძნელი გადასაჭრელია სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები, რომელთაც საბედისწერო მნიშვნელობა ეძლევათ ახლად აღდგენილ საქართველოსთვის.

სომხეთი გვედავება ბორჩალოს დიდს ნაწილს, ჯავახეთს, ახალციხის ნაწილს, არტაანსა და ოლთისს, თორთუმ-ისპირსა და ლაზისტანს. ოთხი თვის წინათ მან იარაღით მოინდომა ჯავახეთ-ბორჩალოს წაგლეჯა და ნაწილობრივ მიაღწია მიზანს: ლორი გამოგვგლიჯა და უცხო ძალას გადასცა. ამავე დროს იგი გამალებული მუშაობს უცხოეთში და იქ ცდილობს სომხეთის აღდგენას საქართველოს ზურგზე. მათში გამოქნილმა დიპლომატიამ აქ ადვილად მოიგო ჩვილი გული ჩვენის მთავრობისა, დააძინა მისი გულისყური და ხელთ იგდო დიდი ავანსი—3 მარტის ხელშეკრულება, რომელიც ნამდვილი ხარკია გამარჯვებულისა დამარცხებულზე ან გაბრიყვებულზე დაკისრებული. ეს ლუკმა სომხეთმა მარტივი და ორპირული ხრიკით ჩაიგდო. სტამბოლის ერთ სომხურ გაზეთში დაიბეჭდა მოთხოვნილება სომეხთა დელეგატის ნუბარ ფაშისა, წარდგენილი პარიზის კონფერენციაზე. იმ მოთხოვნილებაში გაკვრით იყო ნათქვამი, რომ სომხეთი თავის საზღვარს საქართველოსთან მორიგებით გამოარკვევსო. ისე ნართაულად იყო ეს აზრი გამოთქმული, რომ მკითხველს ეგონებოდა, თითქო სომხები აღარც ბორჩალოს გვედავებიან, აღარც ჯავახეთსაო. ჰაერში ას როლილმა ჭორმა შვა სამარცხვინო აქტი 3 მარტისა. ეხლა ირკვევა, რომ სომხებს არ ჰყოფნით საქართველოზე შვიდჯერ მეტი სომხეთი ხმელთა შუა ზღვიდან ბამბაკამდის და სპარსულ ქურთისტანიდან სინოპ-ტრაპეზუნამდის. ისინი პარიზში თხოულობენ „თბილისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილებს“, ე. ი. ჯავახეთ-ბორჩალოს, და აგრეთვე სამუსულმანო საქართველოს სამს მეოთხედს: არტაან-ოლთისს, თორთუმ-ისპირსა და ლაზისტანს.

იმ დროს, როცა იწერებოდა 3 მარტის აქტი ჩვენი მთავრობის მოდუნებული ხელით, სომხები პარიზში ჩვენს ტანს ნაჭრებსა სჭრიდენ, სოჭში იარაღით თავს გვესხმოდენ და მესხეთში ოსმალებს ჯავახეთს ევაჭრებოდნენ.

აი ასეთი მადისა და ასეთი შავი გულის ხალხთან გვექნება ლაპარაკი 23 აპრილს. წინაგრძნობა და მწარე გამოცდილება გვეუბნება, რომ ეს დღე კიდევ ერთს შავს თაბახს ჩაუწერს ისტორიაში ჩვენს დიპლომატიას, რომელმაც უკვე წააგო ნახევარი ბორჩალო.

რა საგნები ექნება განსახილველი მომავალ კონფერენციას? ამას ჩვენი საგარეო საქმეთა უწყება საიდუმლოთ ინახავს, თუმცა უნდა ითქვას გაკვრით, რომ ამ უწყებაში არავითარი საიდუმლოება არ ინახება და ყოველი ამბავი ქალაქს ელვასავით ედება.

თუ კონფერენციას საფოსტო, მიმოსვლისა და სხვა წვრილმანი საკითხები ექნება გადასაჭრელი, იგი სასურველი იქნება და ნაყოფსაც გამოიღებს. მაგრამ თუ მან საზღვრების გამორკვევა მოინდომა, იგი თავიდანვე მკვდარია და რაც უფრო ადრე დაიშლება, უფრო უკეთესი იქნება ყველასათვის. კონფერენციის ასეთ მიზანს თავიდანვე შლის და ხლართავს ის გარემოება, რომ ჩვენ ეხლავე შეგვიძლიან საზღვრების გამორკვევა აზერბაიჯანთან, რომელიც უკვე გამორკვეულ ერთეულს წარმოადგენს, ხოლო ყოვლად შეუძლებელია მიჯნების დადება სომხეთთან, რომელიც ჯერაც ჰაერში ჰკიდია. მისი ბედი და საზღვრები პარიზში სწყდება, ამიტომ მისი საზღვრების გამორკვევას საქართველოსთან წინ უნდა უძღოდეს მისი სამხრეთი საზღვრების დადება. აქაური სომხები ცდილობენ საქმის პირუკუღმა გადაჭრას. საქართველო დიდად წააგებს და თავს დაიმარხავს თუ აჰყვა სომეხთა გეგმას და ევროპა დააყენა წინაშე შესრულებულ ფაქტისა.

მთელი საქართველო ერთხმად ემხრობა სომხეთის აღდგენას და ამისთვის, თუ საჭირო იქნება, სისხლსაც დაღვრის. მაგრამ თუ სომხებმა ხელი არ აიღეს თავიანთ ახირებულ გეგმაზე და უეჭველად მოინდომეს სომხეთის აღდგენა საქართველოს ზურგზე, ამ შემთხვევაშიაც შეიძლება ისევ დაიღვაროს სისხლი. დაე სომხებმა მოახერხონ და დაამკვიდრონ საქართველოზე თუნდ ხუთჯერ მეტი სომხეთი, მაგრამ ერთის პირობით: ორივემ სამხრეთისაკენ უნდა წავიწიოთ. თუ სომხებმა მიიღეს ეს დევიზი, ორივე ერთი ერი სამუდამოდ დამეგობრდება და უმჭიდროესი კავშირით შეიკვრება.

ეხლა რას ვხედავთ? სომხეთი ისევ ჩრდილოეთისაკენ მოიწევს და სამუსულმანო საქართველოს გარდა გვედავება ჯავახეთსაც და ნახევარ ბორჩალოსაც. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს მთავრობა და მეფე-პარტია დღესაც რყევაშია და სომხებს იმედს უმაგრებს.

ჩვენმა მთავრობამ ვერ იქმნა და ვერ გაიგო სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჯავახეთ-ბორჩალოსი თავისუფალ საქართველოსთვის. იგი მნიშვნელობა რომ ნათლად ყოფილიყო შეგნებული, აქამდის მთავრობა ათჯერ ეტყოდა მოდავეს მკაფიოდ, გადაჭრით და მტკიცედ: არასოდეს და არას გზით.

ამ საზღვრების მნიშვნელობის შესახებ მერე მოგახსენებთ.

ვ. ადამაშვილი

## ხელუხლებლობის კანონი

დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიაში შემოვიდა შემდეგი კანონ პროექტი დამფუძნებელ კრების წევრთა ხელუხლებლობისა:

1. დამფუძნებელ კრების წევრი ხელშეუხებელია.

2. არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც იგი გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

3. არც ადმინისტრაციას და არც სასამართლოს თუ სხვა უწყების მოხელეთ არა აქვთ უფლება დამფუძნებელი კრების წევრის პირადად გაჩხრეკისა, უკეთუ თვით დამფუძნებელი კრებისაგან ამის ნებართვა არა აქვთ მიცემული.

4. დატუსაღება და სამართალში მიცემა დამფუძნებელ კრების წევრისა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელ კრების დასტურით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს მიუსწრებენ.

5. კანონიერად დატუსაღებული დამფუძნებელ კრების წევრი უნდა განთავისუფლებულ იქმნეს მთელი სესიის გამნავლობაში. უკეთუ ამას დამფუძნებელი კრება დაადგენს.

6. დამფუძნებელ კრების წევრის წევრობიდან გამორიცხვა, დატუსაღება და სასამართლოში მიცემა უნდა გადასწყდეს დამფუძნებელ კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით.

7. დამფუძნებელ კრების ბინა და ნივთები შეიძლება გაჩხრეკილ იქმნეს მხოლოდ სათანადო სასამართლო ორგანოს დადგენილებით ან და დამფუძნებელ კრების დასტურით.

8. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან, როგორც რესპუბლიკის უმაღლეს პირთა შეურაცხმყოფელნი, უკეთუ მათი მოქმედებისათვის უფრო სასტიკი სასჯელი არ არის კანონით დადებული.

## სამხრეთ - კავკასიის მთავრობის დაპატიმრება.

ინგლისის სარდლობამ ყარსში დააპატიმრა კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის მთავრობის წევრნი და თბილისში ჩამოიყვანა. დაპატიმრებულნი მოთავსებულნი არიან თბილისის სადგურზე საგანგებო ვაგონში გაძლიერებულ ყარაულის ზედამხედველობით.

## ქრონიკა

**26 მაისის დღესასწაულისათვის.** 14 აპრილს დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის თაოსნობით და სახელმწიფო კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა კრება, რომელმაც შეიმუშავა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულის საკითხი. დღესასწაული გაიმართება 26 მაისისათვის. კრებამ აირჩია სექციები: სამხატვრო-სამუსიკო, სათეატრო, სალიტერატურო და სა გიმნასტიკო.

**ხელოვნების კრება.** დღეს, შუა დღის 12 საათ. სასახლეში პრეზიდიუმის დარბაზში დანიშნულია კრება დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისა და იმ სექციათა, რომელნიც არჩეულნი არიან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან. კრება განიხილავს 26 მაისის დღესასწაულის მოწყობის საკითხს.

**საგუბერნიო ბატალიონი.** საგუბერნიო ბატალიონი, რომელიც ახალციხეში იყო გაგზავნილი, გორში დაბრუნდა. გორშივე გაიგზავნება საგუბერნიო ბატალიონის დანარჩენი ნაწილები.

**ადმინისტრაციის ინსპექტორთან.** საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორს მოხსენებით წარუდგა სიღნაღის მაზრის კომისარი. მან აღნიშნა რომ კომისარიატის საქმეები უკვე გადაეცა ერობას და აუცილებელ საჭიროა გაუქმებულ კომისარიატის მაგიერად დაარსებულ იქმნას მილიციის უფროსის ინსტიტუტი. ამის ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 1,876,400 მან. ინსპექტორი სიმპატიით შეხვდა ამ მოხსენებას და აღუთქვა ყოველივე ცნობების შეკრება ამის შესახებ.

**რაჭის მაზრის შუამდგომლობა.** რაჭის მაზრის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ხსენებულ საზოგადოებას იარაღი და ურიგდეს ყაჩაღებისაგან თავის დასაცავად. მინისტრმა ეს შუამდგომლობა ადგილობრივ ერობას გადასცა, რომ მან თავისი დასკვნა წარმოადგინოს.

**ბერძენთა გამგეობაში** წალკის მცხოვრები ბერძნები ნდობას უცხადებენ თბილისში არსებულ ბერძენთა გამგეობას და პროტესტს გამოსთქვამენ წინააღმდეგ იმ მანიფესტანტების, რომელნიც გამოვიდნენ ხსენებულ გამგეობის წინააღმდეგ.

**ბათუმის ბერძენთა ყრილობაზედ** ბათუმის ბერძენთა ეროვნულ საბჭო სთხოვს თბილისის ბერძენთა გამგეობას გაგზავნოს თავის წარმომადგენელი ბათუმში მოწვეულ ბერძენთა ყრილობაზე.

**თბ. ფოსტის უფროსის განცხადება.** თბილისის ფოსტის კანტორის უფროსი ამით უმორჩილესად სთხოვს სამხედრო ჯარის ნაწილის სარდლებს და უფროსებს როგორც საერთოთ იყო დაწესებული გაგზავნონ საგანგებო მონდობილობით პირი რომელიც მუდამ ივლის ჩემდამი რწმუნებულ კანტორაში კორესპონდენციის მისაღებად. უკეთუ რომელიმე ჯარის ნაწილი გადის თბილისიდან საჭიროა გვეცნობოს მისი ახალი მისამართი რომ თავის დროზე გაიგზავნოს კორესპონდენცია რომელიც თბილისში ხშირათ რჩება და ივვიანებს მისამართის არცოდნისა გამო.

**არქიმანდრიტ-გიორგის მოკვლა.** სრულიად საქართველოს კათალიკოზს ქუთაისის მიტროპოლიტი დეპეშით ატყობინებს რომ ახლად-გამარცულ შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტი გიორგი მოუკლავთ. საქმის გამოძიება სწარმოებს.

### სომხეთში.

**დაბების გადაკეთება ქალაქებად.** სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა აპირობს ქალაქებად გადააკეთოს მთელი რიგი დაბებისა: ეჩმიაძინი, აშტარამი, დილჯანი ჯალალ-ოღლი, როგორც იგდირი და სხ.

**ხიკვდილიანობა.** ერევნიდან მიღებულ სარწმუნო წყაროებით ერევანში სიმშილითა და სახადით სიკვდილიანობამ საგრძნობლად იკლო.

### სხვა და სხვა ამბები

14 აპრილს საღამოს 8 საათზე გ. სუსანლვის ბინაზე (ცორონცოვის ქუჩა № 114) შეიჭრა რამოდენიმე შეიჭრა რამოდენიმე შეიარაღებული პირი და სიკვდილის მუქარის 1,500 მან. წაართვეს. ბოროტგამზრახველები მიიმალნენ.

**ქურდობა.** 14 აპრილს ა. კუდროვის ბინიდან (პოლიმის ქუჩა № 7) ბოროტ-გამზრახველებმა 8 ათასი მან. ღირებული სხვადასხვა ძვირფასი ნივთები მოიპარეს.

### სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო თეატრი.** ოთხშაბათს, 16 აპრილს, ალეშკოს მონაწილეობით „ჟიდოვკა“. ხუთშაბათს, 17 აპრილს, ჟურნალ „ხელოვნების“ საღამო. 1-ლი საბანეევას მონაწილეობით, „ფრა-დიავოლო“, მე-2-ე პეტერბურგის მუსიკალურ დრამის ცნობილი მსახიობი მ. დავიდოვის მონაწილეობით „ჰოფმანის ზღაპრები“ (მე-3-ე აქტი). პარასკევს, 18 აპრილს დიდი დისპუტი ნიღბები და სახეები თანამედროვე და მომავალ თეატრისა. კამათში მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, სერგეი გოროდეცკი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, იაკ. ლვოვი, ს. რაფალოვიჩი და სხ.

**„მეოცნებე ნიამორები“.** ქუთაისში გამოვიდა მეორე ნომერი ჟურნალის „მეოცნებე ნიამორები“. ჟურნალს რედაქტორობს ვალერიან გაფრინდაშვილი. ჟურნალში დაბეჭდილია ლექსები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ლელი ჯაფარიძის, კოლაუ ნადირაძისა, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის და სხვათა. ჟურნალის ყდა ლადო გუდიაშვილის.

**ჟურნალი „ორიონი“.** ამ დღეებში გამოვა მეორე ნომერი რუსული ჟურნალი „ორიონი“-ს. სერგეი გოროდეცკის და სერგეი რაფალოვის რედაქტორობით. ჟურნალში დაბეჭდილი იქნება ქართველ პოეტების ლექსების თარგმანები და რაფალოვიჩის თარგმანი გრიგოლ რობაქიძის „პანი“-ს..

**ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო.** ხუთშაბათს 17 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო. გერონტი ქიქოძე წაიკითხავს მოხსენებას ახალ ქართულ პოეზიაზე. ტიციან ტაბიძის შემოქმედებაზე იტყვიან სიტყვას: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ალი არსენიშვილი, ილია ზდანევიჩი და სერგეი გოროდეცკი. შემდეგ გაიმართება პოეტების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობენ ქართველი და რუსი პოეტები. დარჩენილი ბილეთები იყიდება ქართულ სახაეში.

## პროვინციის ცხოვრება

**სიღნაღი.**

ქ. სიღნაღში სამაზრო საერობო გამგეობა აარსებს წიგნთსაცავ-სამკითხველოს და სთხოვს მაზრის საზოგადოებას აღმოუჩინოს დახმარება ფულის და წიგნების სახით. ვისაც სურს წიგნების გაყიდვა მიჰმართოს გამგეობას ქ. სიღნაღში—საერობო გამგეობა.

**თელავი.**

ახლოვდება ვენახების შეწამლვის დრო, შაბიამანი კი სულ არ იშოვება. ამ შემთხვევით სარგებლობენ ჩარჩებიც, ფუთობით აჩენენ და მამასისხლად ჰყიდიან. არავითარი ზომები მათ ასალაგმავად ჯერ არ არი მიღებული.

**ს. ნინოწმინდა.**

ჭიჭილები ქარმა მთლად დაჰვავა. კარგი მოსავლის იმედი სულ არ არის. გარედ კახეთის ყველა სოფლებში სახადი და სხვა გადამდები ავადმყოფობანი არ ჰსცხრება.

**ს. ბერთუბანი.**

ცივმა ზამთარმა საქონელი დიდად დააზარალა. ზოგი სიცივით დაიხრა და ზოგიც ახლად გაჩენილ საქონლის ჭირმა გაჰჩანაგა.

**ს. პატარძეული.**

პატარძეულში გავრცელებული იყო მეფუტკრეობა. მარტო მარიამ მათიკაშვილს (თებერვალში სახადით გარდაიცვალა) კულტურულად მოვლილი ორასამდე სკა ჰყვანდა. დღეს კი მის საფუტკრეში სამი სკა-ღაა გადარჩენილი. ასევე დანარჩენებსაც მოესპოთ.

**ქ. გორი.**

ქ. გორში პარასკევს, აპრილის 18-ს დილის 10 ს., დანიშნულია საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში. განსახილველია საყურადღებო საკითხები.

## იურიდიულ საზოგადოებაში.

მას შემდეგ რაც მოხდა უკანასკნელი კრება საქართველოს იურიდიულ საზოგადოებისა მიმდინარე წლის თებერვლის დამლევ რიცხვებში, მისი საბჭო თანახმად საზოგადოების წესდების იკრიფებოდა დრო გამოშვებით და არკვევდა შეძლების და გვარად ამ საზოგადოებასთან სხვა და სხვა საკითხებს; ცოტა რამ ამ მხრით საბჭომ კიდეც გააკეთა, ზოგი კითხვები კი საჭიროებენ ფართო გაშუქებას საზოგადოების საერთო კრებაზე. საბჭოს საჭიროდ მიაჩნია მომავალ კრებას წარუდგინოს მოხსენება თავის მოქმედებაზე დღიდან საბჭოს არჩევისა. ამ მიზნით საბჭომ გადაწყვიტა მოიწვიოს იურიდიული საზოგადოების საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნება შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედებაზე 2) ნაციონალიზაციის საკითხი 3) მომ რიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი და სხვა.

კრება შესდგება სამოსამართლო პალატის შენობაში, 3 მაისს საღამოს 7 საათზე; საბჭო მოუწოდებს ყველა წევრებს დაესწრონ კრებას, მოაგონებს ყველა ქართველ იურისტებს მათ ვალდებულებას ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ და ხელი შეუწყონ მის აღორძინებას.

## სამეურნეო ბანკის წევრთა კრება

კვირას სამეურნეო ბანკში შესდგა საზოგადო კრება ხსენებულ ბანკის წევრებისა.

თავმჯდომარედ აირჩიეს ი. აფხაზი.

მოისმინეს მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ და წარსული წლის ანგარიში. წევრებად ყოფილან 1366 კაცი. საწევრო გადასახადი შემოსულა 351, 279 მან. 93. სათადარიგო და სხვა თანხა საზოგადოებისა 144,949 მან. სხვა და სხვა შესანახად შემოტანილი ფული 4,646,932 მან. 73 კაპ. სხვა და სხვა ბანკებში არის მიმდინარე ანგარიშები 2'319,554 მ. 62 კ. ვექსილები და სესხი 2,199,441 მან. 88 კ. საერთო საწარმოვო თანხა. 91,485,161, მ. 33 კაპ. 18,317,287 მ. მეტია შარშანდელზე.

წმინდა შემოსავალი—105,285 მან. 48 კაპ.

თითო წევრს ეძლევა დივიდენდი—7 პროც.

გამგეობის წევრებს—10 პროც.

მოსამსახურეებს—10 პროც.

სათადარიგო თანხაში გადადის 10 პროც., დანარჩენი თანხა განაწილებულია კულტურულ და საქველმოქმედო საზოგადოებათა შორის. დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ 10,000 და სხ. დაადგინეს მოუმატონ ჯამაგირები გამგეობის წევრთ—3,800—5000 მან. თვეში. ბუხგალტერს—3500 მანეთამდე ბანკის მოსამსახურეებს 2800 დაბალ მოსამსახურეებს—1800 აირჩიეს დირექტორად გ. თ. ყიფშიძე.

საბჭოს წევრებად გ. მ. ლასხიშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად—გ. გორდეზიანი, ი. გველესიანი და ქ. რაზმაძე.

## ოსთა ყრილობა

ახლო მომავალში ოსთა ყრილობა შესდგება. ერთი წარმომადგენელის ასარჩევად დაწესებულია ნორმად 3.000 ხმა. ჰფიქრობენ რომ დელეგატების რიცხვი 40-ს არ ასცდება. აპრილის 15-ისათვის დანიშნული იყო ოსებში მომქმედ პარტიათა წარმომადგენლების კრება. ეს კრება შეიმუშავებდა ტეხნიკურ მუშაობის გეგმას და საარჩევნო კომისიას აირჩევდა. როგორც ჰფიქრობენ არჩევნებში 4 პარტია გამოვა: სოც.-დემოკ.—სოც.-რევ. უპარტიონი და „ქერმენ“ (კომუნისტები).

საკითხებში ყველაზე მნიშვნელოვანია ოსეთის ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად გამოყოფის საკითხი, და ამ ოლქების მართვა-გამგეობის გეგმის შედგენა. ყველა პარტიები გარდა სოც.-დემოკრ. მოითხოვენ საქართველოს ოსების ტერიტორიალურ ავტონომიას.

სოც. დემოკრატები კი მხოლოდ ერობის თვითმართველობას მოითხოვენ. უპარტიოთა და „ქერმენის“ მიმდევართა შორის ზოგიერთნი ჩრდილო ოსეთისა და საქართველოს ოსეთის გაერთიანებასაც მოითხოვენ.

სულ მალე გორში ოსების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების კონფერენცია შეიკრიფება. ამ კონფერენციაზე აირჩევენ საარჩევნო კომისიის წევრებს, შეიმუშავებენ ყრილობის გეგმასა და კანდიდატების სიას შეადგენენ.

დღეს დღეობით [illegible] ძალა ბატონობს. [illegible] ვნული საბჭო მთავრობის განკარგულებებს არ ემორჩილება; ხალხმა არ იცის ვის მიჰმართოს; როცა ეროვნული საბჭოსთვის ხელსაყრელია იგი მთავრობასთან ჰგზავნის; მილიციას, მასწავლებლებს და ადმინისტრაციას ჯამაგირის მისაღებად მთავრობაზე მიუთითეს, მიუხედავად იმისა რომ ყველა ესენი ოსთა ეროვნულ საბჭოს ემორჩილებიან. არ ემორჩილებიან არავითარ კანონს, მაგალითად სულ რამდენიმე დღეა რაც მთავრობის დაუკითხავად ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ გადააყენა მთიელ ოსთა კომისარი და მის მაგივრად სხვა დანიშნა.

ოსთა ეროვნული საბჭო სცდილობს მიითვისოს კერძო მწარმოებლის და მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ დამზადებული ხე ტყის მასალა.

ეროვნული საბჭო ერევა ტყის ზედამხედველის საქმეებში და ხელს უშლის ტყის საქმის მოგვარებას.

ამ ბოლო დროს თვით ეროვ. საბჭოში შეიქმნა განხეთქილება. თავმჯდომარე—უპარტიო ნაციონალისტი—არ მოსწონთ „ქერმენის“ მიმდევართ. ესერები ორ სკამზე სხედან ხან ს.-დ-სკენ არიან და ხან „ქერმენის“ ჯგუფისკენ. ბოლო ხანებში უპარტიოებს მისდევენ. გამოურკვეველია ყრილობაზე რა პოზიციას დაადგებიან.

## აზერბეიჯანი:

**ახალი კაბინეტი.**

ბაქოს გაზეთ „ზარია“-ში მოთავსებულია ახალი მთავრობის მინისტრთა სია:

მინისტრ—თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი იუსუფბეგოვი, (მუსავ.). გარეშე საქმეთა მინისტრი ვექილოვ (მუსავ.), გზათა—მელიქ ასლანოვი (უპარტიო), სამხედრო—გენ. მახმანდიროვი, ვაჭრობა-მრეწველობის—ალა-ემინოვი (მუს.), სახალხო მზრუნველობის მინისტრი—კლენევსკი (სლავ. რუს. საზ.), სახალხო ჯანმრთელობის—ამას პიური (დაშნაკ.), სასურსათო—დასტაკოვი (სომხ. კადეტ.), ფინანსთა მინისტრი—ჰუსეინოვი უპარტიო.

**„ჰუმმეტი“ მოხალისეთა წინააღმდეგ.** „ჰუმმეტის“ პარტიამ გადასწყვიტა მთიელთა რესპუბლიკის დასახმარებლად მებრძოლი რაზმები შეადგინოს.

## ჩრდილო-კავკასია

**დენიკინი კავკავში**

კვირას, აპრილის 13-ს, კავკავში გენერალ დენიკინს მოელოდნენ. რამდენიმე დღით ადრე კავკავს კომენდანტმა მცხოვრებლებს მოწოდებით მიჰმიჰმართა, სადაც ურჩევდა დახვედრისათვის მიეცათ დღესასწაულის სახე, მოემზადებინათ დროშები, მხატვრული სამკაულები და სხვა.

მოწოდებიდან სჩანდა, რომ დენიკინთან ერთად კავკავში ინგლისისა და საფრანგეთის მისიაც ჩამოვიდოდა.

**მოხალისენი და მთიელნი**

კავკავში მიღებულ ცნობებით, გროზნას ახლო ჩერქეზეთისა და სუნჯენის მხარეს მოხალისეთა და ჩერქეზთა შორის დიდი ბრძოლაა გამართული.

ჯერ მთიელნი იმარჯვებდნენ. გაანადგურეს მოხალისეთა ორი რაზმი და გროზნას მიადგნენ. შემდეგ კი როცა ბრძოლის ველზე მოხალისეებს დიდი ძალა შეემატა ჩერქეზები დამარცხდენ და ექვსი ჩერქეზთა სოფელი მოხალისეებმა არტილერიის ცეცხლით გაანადგურეს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ჰაეროპლანებიც, რომელნიც ყუმბარებსა ჰყრიდენ ჩერქეზთა სოფლებში.

მთიელთა რაზმები, რომელსაც ასლანბეგ შერიმოვი მეთაურობდა, როგორც კავკავიდან ჩამოსული პირი ირწმუნება მოხალისეებს დაპნებდნენ და იარაღსაც აბარებენ.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**15 აპრილი.**

**ვილსონი.**

ნიუ იორკიდან იუწყებიან: სოციალისტების აზრით, თუ ვილსონი უთანხმოების გამო საზავო კონფერენციას დასტოვებს, მთელს ევროპაში რევოლიუცია დაიწყება.

**დუნაის ფედერაცია.**

სმიტსის წინადადების გამო, რომ პრაგაში მოიწვიონ ავსტრიის იმპერიისაგან გამოყოფილ სახელმწიფოთა ყრილობა საზღვართა საკითხის განსახილველათ,—გაზ. „ჰუმანისტე“ ამბობს: სმიტის მოგზაურობის გამო ბელაკუ-

ნი სიხარულს გამოსთქვამს. ეს მოგზაურობა მოკავშირეთა მიერ საბჭოთა მთავრობის ალიარებათ მიაჩნია, ხოლო სახელმწიფოთა ყრილობის შესახებ არას ამბობს. განზრახვაა, ყოფილი ავსტრიის იმპერიის ნაცვლად დუნაის ფედერაცია დაარსონ.

#### სურსათი რუსეთისათვის.

ამერიკიდან მიღებულ ცნობით ნეიტრალური ქვეყნები აარსებენ კომისიას, რუსეთისათვის სურსათის მისაწვდენათ. იმედი აქვთ, რომ მოკავშირენი ამის ნებას მისცემენ. არავითარი საბუთი არ არის, რომ მოკავშირენი სცნობენ ლენინის მთავრობას. გაზ. „ეკო დე-პარი" დღეს აშკარათ ამბობს, რომ ეს პროექტი მხოლოდ ამერიკისაგან მომდინარეობს.

#### ზარალის ანაზღაურება

ინგლის ამერიკელთა ცნობით ზარალის ანაზღაურების ჯამი არ შედის საზავო ხელშეკრულობაში, თუმცა იმედი აქვთ, რომ მათ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ.

ომის ზარალის ანაზღაურების და დამნაშავეთა დასჯის საკითხში ვილსონი იზიარებს ლანსინგის, შაიტრჯეიმსის, სკოტის და ამერიკის საგანგებო მისიის აზრს. ვილსონი წინაალმდეგია კაიზერის სიკვდილით დასჯის, ან მისი გაძევებისა. უკვე შემუშავდა ზარალის ანაზღაურების პირობათა ტექსტი. ინგლისელთა ანგარიშით მოკავშირეებს ომის 120 მილიარდი დოლარი დაუჯდათ. ორშაბათს ლოიდ-ჯორჯი ინგლისში დაბრუნდა.

#### ოთხთა საბჭო ვილჰელმზე

ოთხთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ვილსონიც დაესწრო, სხვათა შორის განიხილეს საკითხი კაიზერის პიროვნებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ყველა საკითხებში დიდი ნაბიჯია გადადგმული.

#### ამერიკა და ბოლშევიკები

მოკავშირეთა წარმომადგენლებს გუშინ ამერიკის კომისიამ განსახილველათ წარუდგინა ამასწინათ მის მიერ განხილული საკითხი, შესახებ იმისა, რომ ბოლშევიკებს დაუთმონ და რამდენათაც შესაძლებელი იქნება შეიწყნარონ მათი თხოვნა. იუწყებიან, ფრანგებმა არ მიიღეს ასეთი წინადადება.

## ფრანგული პრესა.

#### საარის ოლქი.

ოთხთა საბჭო განაგრძობს საარის ოლქის საკითხის განხილვას. ალბათ საფრანგეთს ამ ოლქის ექსპლოატაციის და განსაზღვრულ საადმინისტრაციო უფლებებს მისცემენ.

#### გერმანიის ვალი.

ფინანსიური ექსპერტები მოითხოვენ, რომ აღიარონ გერმანიის პასუხისმგებლობა და მის დროებით ვალათ აღიარონ 150 მილიარდი; პირველი ნაწილი 25 მილიარდი ოქროთი და ფასიანი ქაღალდებით 1919 და 1920 წ. წ. უნდა გადაიხადოს, დანარჩენი-ნედლი მასალით. რეინის მარცხენა მხარის ოკუპაცია, იმის გარანტია იქნება, რომ გერმანია ამ პირობებს შეასრულებს.

#### სურსათი ევროპისათვის.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ გადაწყვეტილი- ყოველთვიურათ ევროპაში გაიგზავნოს 1.690,000 ტონი ხორბალი. ომამდე ატლანტიის ოკეანეს ნავთსადგურებში მხოლოდ 1,000,000 ტონი საქონელი იცვლებოდა. პურის მოვაჭრეთა კორპორაციის თავმჯდომარე ბარნესი ამბობს, რომ ევროპის დიდი საჭიროება სურსათში გამოიწვევს ტონაჟის გადიდებას, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ევროპაში წესიერების დაცვას. ბარნესმა დახმარებისთვის კორპორაციის წარმომადგენლებს მიმართა. უკვე დაიწყო სურსათის ზიდვა რუმინიაში, სომხეთში, სერბიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, პოლონეთში და ფინეთში.

#### ჰაეროპლანების სავაჭრო ფლოტი.

ფილადელფიიდან იუწყებიან, რომ ფილადელფიის კომპანიამ უკვე შეისყიდა კომერციულ მიზნებისთვის ჰაეროპლანების ფლოტილიის ერთი ნაწილი, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე დაიწყებს მოქმედებას, რაც კომერციულ გემებს მუშაობას შეუმსუბუქებს. საგანგებო ჰაეროპლანი საათში 180 მილს გადის. ასეთი ჰაეროპლანი ნავთსადგურიდან გასულ გემს 24—30 საათის შემდეგ დაეწევა და გადასცემს მას დაგვიანებულ ან დარჩენილ ქაღალდებს და ტვირთს, რის გამო გემს თითქმის ერთი დღე-ღამით ნაკლები მოუხდება ნავთსადგურებში დგომა.

#### ქალთა კონგრესი.

ამერიკამ 10 წარმომადგენელი დანიშნა საერთაშორისო ქალთა კონგრესზე, რომელიც მაისის 5 ბერნში გაიხსნება.

#### კონგრესის სხდომები.

„პტი-პარიზიენი" იუწყება, რომ მთელი ოთხი დღე გაგრძელდა წინა სხდომებზე დაწყებულ საკითხების გარჩევა. გადაიდგა ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რის გამო შესაძლებელი ხდება მომავალ კვირაში გერმანიის წარმომადგენელთა მოწვევა. ისინი დღის უნდა დასწრებოდენ კონფერენციის საერთო სხდომას ვერსალში, რათა ხელი მოეწერათ შრომის დაკანონების ფორმულისთვის.

#### ლოიდ ჯორჯი

ტელეფონით იუწყებიან, რომ ლოიდ ჯორჯი და პარლამენტის წევრები სამშაბათს ლონდონში დაბრუნდებიან და ოთხშაბათს მოხსენებას გააკეთებენ. თუ ლოიდ ჯორჯს ინგლისში დაბრუნების შეძლება არ ექნება, მის მაგიერ წავა ბონარლოუ.

#### რკინიგ გზა ჩრდილო რუსეთში

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ნება მისცა ამერიკელების საზოგადოებას ჩრდილოეთ რუსეთში რკინის გზა გაიყვანონ. სრ. რუს. ეკონომიურ საბჭოს წევრმა რიკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობას რკინის გზის კონცესიის მიცემის დროს მიზნათ ქონდა გამოეწვია შეჯიბრება ყველა სახელმწიფოს კაპიტალისტებს შორის. შვეციის კაპიტალისტთა ჯგუფმა უარი განაცხადა კონცესიის მიღებაზე, რადგან ბოლშევიკურ მთავრობის გარანტიას აბსოლიუტური მნიშვნელობა არა აქვს. ხმებს რომ რამოდენიმე მილიონის ხელშეკრულება დასდვეს რუსეთის კაპიტალისტებთან, განგებ გავრცელებულ ხმებათ სთვლიან.

#### პოლონეთის მადა.

პოლონელთა უსაზღვრო მოთხოვნილების დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ვარშავაში 5 აპრ. მომხდარ სხდომის ანგარიში. ამ სხდომაზე მოითხოვდენ, რომ პოლონეთმა შეინარჩუნოს 1772 წ. საზღვრები. შემდეგ ერთხმად მიიღეს წინადადება, რომ დანცინგი და დასავლეთი პრუსია აუცილებლათ უნდა შევიდეს პოლონეთის სახელმწიფოს საზღვრებში. ვარშავის მდგომარეობას ნათლათ ხატავს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვოიცეხოვსკის ცნობით, რომელიც ამართლებს განსაკუთრებულ წესებს. ვარშავა ყოველთვის მზათ უნდა იყოს დაამარცხოს ბრბო, რომელი სეიმის გარეკას შეეცდება.

#### ბოლშევიკები შლოკის ფრონტზე.

ბოლშევიკებმა ფრონტზე შლოკიდან ბასკამდე თავი მოიყარეს დიდძალ ჯარს და 5 აპრილიდან ამ ფრონტის სამხრეთით ძლიერ იერიშებს აწარმოებენ. ბრძოლაში მონაწილეობს არტილერია და ჯავშნიანი მატარებლები. ოთხი დღის ბრძოლის განმავლობაში საბჭოთა ჯარის იერიშები, რომლებსაც მიტავის დაბრუნება უნდოდათ, მოგერიებულ იქმნა. ამ ბრძოლებში ბოლშევიკები დიდათ დაზარალდენ.

#### პრეზიდენტი ებერტი.

ლიონის რადიო დეპეშა, რომელიც 10 აპრილს გაიგზავნა ნიუორკში, იუწყება; პრეზიდენტმა ებერტმა კონფიდენციალურათ სთქვა, რომ გერმანიის მთავრობა ხელს მოაწერს ზავის ყოველგვარ პირობებს, რომელსაც წამოაყენებენ მოკავშირენი. ამ ცნობას უარყოფენ გერმანიის ავტორიტეტულ წრეებში.

#### გენერალ გალლერის ჯარი.

გენერალ გალლერის ჯარის გერმანიით პოლონეთში გადაყვანა დაიწყება აპრილის 15. გერმანიის მთავრობა აფრთხილებს მცხოვრებთ, ჯარის გადაყვანას ხელი არ შეუშალონ, რადგან შესაძლებელია ამას სერიოზული შედეგი მოჰყვეს. მთავრობა მოითხოვს აგრეთვე არავითარი მანიფესტაციები არ გამართონ. მოსამსახურეთ და მუშებს, რომელნიც იმუშავებენ ჯარის გადაყვანის საქმეზე. მთავრობა მოუწოდებს მიიღონ ზომები ჯარის გადაყვანის დასახმარებლათ. გარეშე პირნი ტრანსპორტის საქმეში არ უნდა ჩაერივნენ.

#### სამხედრო მინისტრის მოკვლა.

დრეზდენის სამხედრო საავადმყოფოში მღელვარება გამოიწვია ცნობამ, რომ ამიერიდან მათ მშვიდობიან დროის ჯამაგირს მისცემენ. მღელვარება გაამწვავა სპარტაკელთა აგიტაციამ. გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობდენ რუსი აგიტატორებიც. პროცესია გაემართა სამხედრო მინისტრთან. რომელსაც დელეგაცია გაუგზავნეს. მინისტრმა ის არ მიიღო, ვინაიდან მათში კომუნისტებიც ერივნენ. ბრბომ მინისტრის ბინა იერიშით აიღო. როცა მინისტრი შეეცადა ბრბოსთვის სიტყვით მიემართა, რამოდენიმე კაცმა მას სტაცა ხელი, ხიდისკენ წაიყვანა და მდინარეში გადააგდო. მინისტრი შეეცადა წყლიდან ამოსვლას, მაგრამ ბრბომ სროლა აუტეხა და ესროდა მანამდე, ვიდრე მინისტრი არ ჩაიძირა.

#### მღელვარება დრეზდენში.

დრეზდენში შეტაკება გაგრძელდა შაბათს ნაშუადღევსაც. კვირას სიწყნარე იყო. მოელიან ახალ შეტაკებებს ვინაიდან სპარტაკელებმა დაიჭირეს ელბის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე უბანი. მარცხენა ნაპირი მთავრობის ჯარის ხელშია.

დრეზდენში მდგარმა მთავრობის ჯარის ნაწილმა ნება მისცა სპარტაკელებს, მათთვის იარაღი აეყარათ.

#### მუშაობის განახლება საქსონიაში.

საქსონიაში ამ ჟამად თანდათან მყარდება წესიერება. ნახშირის მადაროებში გაფიცვები მცირდება.

#### მიუნხენის მთავრობა

პირველი არმიის ცნობით, მიუნხენის საბჭოთა მთავრობა მეციხოვნე ჯარმა ჩამოაგდო არსებულ წესწყობილების აღდგენა ევეს გარეშეა. იმედი აქვთ, რომ ჰოფმანის მთავრობა აღსდგება.

## ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** 14 აპრ. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა.** ჩრდილოეთის ფრონტი. მურმანის მიმართულება: ჩვენმა ჯარმა სამხრეთით 15 ვერს. დაიხია. ნარვის რაიონი: წითელი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს. პსკოვის რაიონი: რკინის გზის ჩრდილოეთით დრო გამოშვებით სროლაა. სამხრეთით ესტონიის წითელი ჯარი შეტევას აწარმოებს. მიტავის რაიონი. ბაუსის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფელი რადენი. იაკობშტადის მიმართულებით წითელი ჯარი შეტევაზე გადავიდა და დაბა ბარაჟი დაიჭირა. მოზირის რაიონი: დამატებითი ცნობით სადგურ კვენკის დაჭერის დროს ხელთ ვიგდეთ ჯავშნიანი მატარებელი. სამხრეთის ფრონტი. ბახმუტის სამხრეთით ბრძოლის შემდეგ დავსტოვეთ სკოტოფატი და სოფლები პეტროვკა და კემშალკოე. ლუგანის რაიონი: ჩ ვ ე ნ მ ა ჯ ა რ მ ა სოცყ. პეტროვკიდან და პოლიროვკიდან მტერი განდევნა. მოლეროვის მიმართულებით დავიჭირეთ სად. სევერო-დანეცკაია, ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და მრავალი ტყვეები წამოვიყვანეთ. უსტ-ბელუკალიტვინის რაიონის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შეტევაზე გიდავიდა და ჩრდილოეთ დონეცის მარჯვენა მხარეზე რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. რეველის რკინის გზის სამხრეთით ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები და ტყვეები წამოვიყვანეთ. ტიხორეცკის მიმართულებით დავიჭირეთ ბალაბინსკი მდ. სალზე და რამოდენიმე სოფელი ნოვოჩერკასიდან 55 ვერსის დაშორებით ტყვეთ წამოვიყვანეთ მოწინააღმდეგის 2 პოლკი. ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 20 ტყვის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო მასალა აღმოსავლეთის ფრონტი: ასტრახანის რაიონი: ობიბჩენკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუვაგდეთ. სტერლიტამაკის რაიონი. ჩვენი ჯარი სტერლიტამაკის სამხრეთ დასავლეთით იხევს. ბუგურუსლანის რაიონი: ჩვენი ჯარი ვამაგრდა ბუგურუსლანის ხაზზე 45 ვერს. აღმოსავლეთით. სარაპულის რაიონი: რკინის გზის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება.

**კიევი.** აპრ. 11. პროსკუროვის დაჭერის დროს ხელთ ვიგდეთ 16 ზარბაზანი.

რეველის მიმართულებით ავიღეთ გდევალსკი, წამოვიყვანეთ 500 ტყვე. ამავე მიმართულებით დავიჭირეთ ქალაქი ჩარტორისკი და ნოვომიროპოლი. კამენოცოპოდოლის მიმართულებით ქალაქი ახალი უჟიცა დავიჭირეთ. ტარნოპოლის მიმართულებით, სადგურ ალბანცამდე რკინის გზის ხაზი შევასწორეს.

**№-ის არმიის შტაბი.** კავკასიის იმ ადგილებში, რომელიც თეთრგვარდიელებმა დაიჭირეს გამეფებულია ტერორი. არამც თუ ბოლშევიკები, ესერებიც და მენშევიკებიც ფარულადმუშაობენ. 20—40 წ. გამოცხადებული მობილიზაცია ყველგან სუსტათ მიდის. ყაზახები მცხოვრებლებს არბევენ. ჟანდარმების დროის რეჟიმია. მცხოვრებლებში და ჯარში წინწკლებიანი სახადია გავრცელებული. მედიკამენტები არ არის. ყაზახთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის განუწყვეტელი შეტაკებაა.

**ბუდაპეშტი,** 12 აპრ. გუშინ ქალაქის თეატრში შესდგა ბუდაპეშტის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა განაცხადა სერბიაში პროლეტარულ რევოლიუციის დაწყების შესახებ. თავმჯდომარის წინადადებით ბუდაპეშტის საბჭოს საპატიო თავმჯ. აირჩიეს: ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, რადეკი, ბუხარინი. მაკლინი, პანეკუნი, ლორიო, ფერატი, დუნსტირინი, რაკოვსკი, ფილიპოვიჩი და ლოტაშევიჩი. ბელა კუნმა სიტყვა წარმოსთქვა.

## ინგლისური პრესა

#### ნაღმების ამოღება.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ ამერიკელი ადმირალი იოსებ სტაუშენი, რომელიც ხელმძღვანელობდა ნაღმების ჩაწყობას ჩრდილოეთ ზღვაში, დღეს გაემგზავრა ლივერპულში, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს მცურავ ნაღმების ამოღებას.

#### ახალი ტრალერები.

ამერიკის 12 ახალი ტრალერი კვირას ევროპაში წავიდა, ორი მათგანი ოთხშაბათს ევროპაში იყო.

#### უთანხმოება მოკავშირეთა შორის.

ჯერ კიდევ არსებობს მწვავე უთანხმოება ერთის მხრივ ინგლის-საფრანგეთისა და მეორეს მხრივ ამერიკელთა შორის, ომის პასუხისმგებლობის, დამნაშავეთა გაცემის და კაიზერის გასამართლების საკითხებში. შეერთებული შტატები იმ აზრისაა, რომ კაიზერს, როგორც მონარქს, ომის გამოცხადების უფლება ჰქონდა და არ შეიძლება მისი სამართალში მიცემა იმისთვის, რომ 1914 წელს მთელი ქვეყანა ომში ჩაითრია. მაგრამ ამერიკის წარმომადგენლები ეთანხმებიან ფრანგ-ინგლისელებს, რომ კაიზერი უნდა გაასამართლონ იმისთვის, რომ მან დაარღვია ყველას მიერ აღიარებული ომის წესები, თუ კი ასეთი დანაშაული მას დაუმტკიცდა ბრიტანიის და საფრანგეთის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ სამართალში მისცენ და ჩამოახრჩონ მთავარი ავაზაკები, როგორც არიან ფონ ტირპიცი, საშინელ საქმეთა ჩამდენი კაპიტანი ფრალეტა, და ისინი, ვინც ლონდონსა და პარიზზე თავდასხმას ხელმძღვანელობდა, ვინც პასუხისმგებელია სამხედროს ტყვეთა ციხეებსა და ბანაკებში ტანჯვისთვის და წყალ ქვეშა ნავების უფროსები, რომელნიც ღუპავდენ საჰოსპიტალო გემებს და ადამიანთა მსხვერპლს არ ინდობდენ.

#### საარიის ოლქი.

საარის ოლქის შესახებ შემდეგი შეთანხმება მოხდა: გერმანიას უტოვებენ მთელ ტერიტორიას, მადაროებიც მის საკუთრებათ რჩება, ხოლო გერმანიამ საფრანგეთს გარანტია უნდა მისცეს, რომ განსაზღვრულ რიცხვის წლის განმავლობაში ყოველთვიურათ მიაწვდის მას განსაზღვრულ რაოდენობის ქვა-ნახშირს. ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის დანგრეული მადაროები აღდგენილ იქნება და შესაძლებელი იქნება საკუთარ ქვა-ნახშირის დამუშავება. გერმანიამ უნდა აღადგინოს წესიერება მუშათა შორის და შეუწყვეტლივ უნდა აამუშავოს ქვა-ნახშირის მადაროები. თუ გაფიცვის, ან სხვა რაიმე მიზეზების გამო მუშაობა შესწყდება, ქვანახშირის დამუშავება მოკავშირეთა კომისიას გადაეცემა.

#### ვილსონის მუქარის შედეგები.

მიუხედავათ იმისა, რომ 3 უკანასკნელ დღეში მნიშვნელოვანი შედეგები იქნება მიღწეული არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ხელშეკრულება 10 უახლოეს დღეში იქნება შეკრული, ოთხთა საბჭო ჯერ ჯერობით თანახმაა აღიაროს ვილსონის პრინციპები, როგორც მთავარ პირობების საფუძველი და ორ ენაზე, ფრანგულათ და ინგლისურათ, დასწეროს ის. ვილსონის მუქარამ, რომ ის კონფერენციას მიატოვებს, დელეგატები აიძულა აეცილებინათ ერთმანეთთან შეხლა შემოხლა და ხანგრძლივი კამათი იმ საკითხებზე, რომელნიც უკვე არა ერთხელ იქმნა განხილული.

#### როდის მოაწერენ ხელს ზავზე?

თუ არაფერმა არ დააბრკოლა კონფერენციის მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ საზავო ხელშეკრულება უკანასკნელ ფაზაშია.

შესაძლებელია კიდევ შეიცვალოს იგი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მალე დასრულდება. შემდეგი 10 დღე მოუნდება ჯერ გადაუწყვეტელ საკითხების განხილვას. იუწყებიან, რომ ხელშეკრულებაში შეიტანეს ზოგიერთი შენიშვნები და პირველი რედაქცია აპრილის 19-თვის იქნება მზათ. გერმანიის დელეგატებს ამ ვადისთვის მოიწვევენ და ალბათ აპრილის 20 პარიზში იქნებიან. მათ დააბინავებენ ვერსალის ერთ-ერთ სასტუმროში და არ მიიღებენ ისეთ ზომებს, როგორიც მიიღეს ტალეირანის მიმართ, როდესაც ის, როგორც საფრანგეთის წარმომადგენელი ვენის კონგრესზე, შევიწროებას განიცდიდა. ტევტონთა დელეგატები ალბათ, წარმოადგენენ ზავის საკუთარ პროექტს ჯერ ოთხთა საბჭოს დახურულ სხდომაზე, რომელზედაც წვრილმანები უნდა იქნეს შემუშავებული. ეს არ ნიშნავს, რომ მოსალოდნელი იქნება უთანხმოების აღმოცენება, მაგრამ კონფერენციის მესვეურნი ფიქრობენ, რომ ამნაირათ საქმე დაჩქარდება. თუმცა ეს გამორკვეული არაა, რადგან ახალი პირობების გამოქვეყნება უთანხმოებას გამოიწვევს. ფიქრობენ, რომ კვირის მეორე ნახევარი გერმანელებთან მოლაპარაკებას მოუნდება, რის შემდეგ მათ არ მოსთხოვენ დაუყოვნებლივ ხელის მოწერას და ნებას დართავენ ბერლინში დაბრუნდენ, რათა საქმისათვის მთავრობას წარუდგინონ განსახილველათ. მოსალოდნელია, რომ ამას 2 კვირა მოუნდება. ეს იქნება მაქსიმალური ვადა, რომელსაც გერმანიის დელეგატებს მისცემენ. ისინი პარიზში უნდა დაბრუნდენ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ, თუ ხელის მოწერა მოხდა, ამას 2 დღე კიდევ მოუნდება. ყველა ამ ნათქვამიდან ცხადია, რომ დაახლოვებით 35 დღე კიდევ გაივლის ვიდრე ზავი შეიკრებოდეს. როდესაც ზავს ხელს მოაწერენ კომისია ერთ თვეს კიდევ განაგრძობს მუშაობას და შესაძლებელია მეტ ხანსაც.

#### ხელშეკრულების საბოლავო რედაქცია

ჯერ გადაწყვეტილი არ არის საზავო ხელშეკრულების საბოლოო რედაქციას წაიკითხავენ თუ არა კონფერენციის საერთო სხდომაზე, ვიდრე მის შინაარსს გერმანელებს გააცნობენ.

კონფერენციის წევრთა უმეტესობას სურს, რომ ეს მოხდეს და ალბათ წაიკითხავენ კიდეც. ჯერ ყველა სადაო საკითხები არ არის გადაწყვეტილი. დღეს საღამოს საფრანგეთის ერთი წარმომადგენელი ამერიკის წარმომადგენლებს ეუბნებოდა: მე ძალიან ვეჭვობ, რომ საფრანგეთის პარლამენტმა მიიღეს ხელშეკრულების საბოლოო რედაქცია, რომლის ძალით საფრანგეთი ვერ მიიღებს იმას, რასაც ასე ესწრაფის და რასაც მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

#### შეთანხმების პირობები.

დღევანდელი ოფიციალური ცნობა იუწყება, შეთანხმების შესახებ, მაგრამ არ იხსენიებს 2 მნიშვნელოვანი პირობას, რომ გერმანიამ ბელგიას უნდა აუნაზღაუროს ზარალი ფულით, შრომით და ნედლი მასალით, ხოლო საფრანგეთს — ვალის ნაწილი მოკავშირეთა მცირე კომისიის ზედამხედველობის ქვეშ საფრანგეთის დანგრეულ სამრეწველოების აღდგენით. რაც გერმანიამ გაანადგურა, ის გერმანიამ თავისივე ძალებით უნდა აღადგინოს. დროთა განმავლობაში გადასახდელი ჯამი მილიარდებამდე გაიზრდება.

#### საარის ოლქში.

ოთხთა საბჭომ ვილსონთან შემდგარ დღევანდელ სხდომაზე მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. საარის ოლქში ძალა-უფლება გერმანიის ხელში დარჩება, მაგრამ მადაროები საფრანგეთის კუთვნილებათ უნდა გამოცხადდეს. ოთხივე მთავარმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან მიიღონ ეს პროექტი, მაგრამ არსებობს სერიოზული საწინააღმდეგო აზრები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც ამერიკის, ისე ინგლისის კომისიებს არ მიაჩნიათ შესაძლებლათ მათი განხორციელება. მათი აზრით უკეთესი იქნება საფრანგეთმა ისარგებლოს მხოლოდ მადაროებში დამუშავებულ ქვანახშირით ახალ უთანხმოებათა თავიდან ასაცილებლათ.

საარის და ზარალის ანაზღაურების საკითხები დღეს კიდევ განიხილეს, მაგრამ არავითარი გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. საზავო კონფერენცია ვერ მიიღებს ზომებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც ომის დაწყება ბრალდებათ. ინგლის-საფრანგეთს შეუძლიათ იკისროს ეს. მაშინ შესაძლებელი იქნება კაიზერის განდევნა ჰოლანდიიდან მისთვის უფრო ნაკლებათ საშიშ ადგილას.

დღეს ავსტრიიდან საშიშო ხმები მოვიდა პარიზში, მოსალოდნელია რევოლიუცია. ინგლისური და ფრანგული პრესა ამერიკას აბრალებს თვითმოყვარეობას და ამბობს, რომ მათ მომავალ სავაჭრო სარგებლობის იმედი აქვთ. ამერიკა კი ცდილობს სამართლიან და მტკიცე ზავის ჩამოგდებას.

## ფრანგული პრესა

#### ლოიდ-ჯორჯის უთანხმოებაზე

„პტი-ჟურნალ"-ში დაბეჭდილია ამ გაზეთის თანამშრომლის საუბარი ლოიდ ჯორჯის მდივანთან, რომელსაც განუცხადებია, რომ კონფერენციის მუშაობა მარჯვეთ აწარმოებს. მოწესრიგებულია ყველა უთანხმოება, რომელიც ასე გააზვიადეს უკანასკნელ დროს გაზეთებში. უკანასკნელ სხდომაზე სრული თანხმობა [illegible] ბენ, რომ გერმანიის დელეგატებს შეუძლიათ ვერსალში ჩამოსვლა. ლოიდ ჯორჯის აზრით ბოლშევიკურმა საფრთხემ უკვე განვლო.

#### ხალხთა ლიგა

ხალხთა ლიგის კომისიამ მოიწონა გადაწყვეტილება, რომ ლიგა მუდმივათ ჟენევაში იმყოფებოდეს.

#### გლეხთა ოპოზიცია

ბავარიიდან მოსული უკანასკნელი დეპეშები მოწმობენ, რომ გლეხების ოპოზიციას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შესაძლებელია ძველი რეჟიმის აღდგენა მოჰყვეს.

#### კომისიები მცირე აზიაში.

„პტი-პარიზიენ"-ის სპეციალური კორესპოდენტი იუწყება, რომ რამდენიმე კომისია გაიგზავნა მცირე აზიაში, ბრუსაში და ანგორაში, რათა სიწყნარე ჩამოაგდონ, მაჰმადიანებს ნდობა ჩაუნერგონ, ურჩიონ მათ მეგობრულათ მოეპყრან ბერძნებს, სომხებს და ეცადონ, რომ მაჰმადიანებმა მიიღონ ლიბერალურ კაბინეტის მშვიდობიანი პოლიტიკა.

## გერმანული პრესა

#### სოციალიზაციის კომისია.

სოციალიზაციის კომისიამ, რომელიც რამოდენიმე ხნის წინათ დანიშნა მთავრობამ და რომელიც იხილავს წინადადებებს სხვა და სხვა დარგის სოციალიზაციის შესახებ, შესწყვიტა მუშაობა. მიზეზია უთანხმოება მთავრობასთან ეკონომიურ საკითხებში.

#### გაფიცვა ბრაუნშვეიგში.

რევოლიუციონურმა მუშებმა ბრაუნშვეიგში ოთხშაბათს დილით დაიწყეს საერთო გაფიცვა და ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალიზმს და მილიტარიზმს. რკინის გზაზე მოძრაობა სრულიად შესწყდა.

#### მიუნხენის მთავრობა.

ვეიმარის მთავრობას აქვს ცნობები, რომ მიუნხენის საბჭოთა მთავრობას არა აქვს მტკიცე ნიადაგი და მხარეში იწყება კონტრ მოძრაობა.

#### მდგომარეობა აუგსბურგში.

აუგსბურგში იარაღდება პროლეტარიატი. დააპატიმრეს რამოდენიმე თვალსაჩინო პირი და აფიცრები.

#### გერმანია და გალერის ჯარი.

ჰოლანდიის „ნიუს ბიურო" იუწყება, რომ გერმანიას არ შეუძლია შეასრულოს ვალდებულება, რომელიც ეხება გალერის ჯარის გადაყვანას, რადგან გერმანიის რკინის გზის მოსამსახურენი გაფიცვით იმუქრებიან: ეს ცნობა ყალბია. გერმანიის მთავრობას აქვს შეძლება გადმოიყვანოს ჯარის და აასრულოს სპაში დადებული ხელშეკრულება.

#### გერმანიის მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვა.

ვეიმარში ეროვნულ ყრილობის ხუთშაბათის სხდომაზე მინისტრ-პრეზიდენტმა სხვათა შორის სთქვა: მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა, შეასრულოს ყველა ვალდებულება, რომელიც მიიღო გერმანიამ. ლოიალობა ხელშეკრულების მიმართ უნდა იყოს ახალი გერმანიის კრიტერიუმი. მეორე — ჩვენ ლოიალური უნდა ვიყვეთ თავის-თავისადმი; ამას გვაიძულებს ჩვენ გერმანიის ინტერესების შენარჩუნება, ურომლისოთ წარმოუდგენელია პოლიტიკური და ნაციონალური არსებობა. ღირსება და პატიოსნება გვაიძულებს მივიღოთ მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელიც შეეფერება ჩვენს ინტერესებს მესამე — ჩვენ ლოიალური უნდა ვიყვეთ ყველა ხალხისადმი, ესე იგი უნდა ვესწრაფვოთ ყველა ეროვნების შერიგებას. ეს სამი უმთავრესი პრინციპი უნდა იყვეს გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი მომავალისკენ. მათ ყოველთვის შეეძლებათ შერიგება. თუ იმპერიალიზმმა და შოვინიზმმა კვლავ არ გაიმარჯვა. ჩვენ ყველა ერთან შერიგება გვსურს და არ გვინდა შევქმნათ ჯგუფები და კავშირები, რომელსაც ყოველ წამს შესაძლებელია მოჰყვეს უთანხმოება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აღმოსავლეთში ახლო მომავალში ჩვენი სამხედრო მდგომარეობის სრული ლიკვიდაცია მოხდება. ჩვენ ვერ დაუშვებთ მას, რომ რუსეთმა ძალით თავს მოგვახვიოს ახალი შინაური წყობილება, მაგრამ თუ ეს შესწყვეტს ძალით ბოლშევიზმის აგიტაციას, ჩვენ ძმურათ გაუწვდით ხელს რუსეთის ხალხს. რაც შეეხება დასავლეთს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ გულწრფელათ გვსურს საფრანგეთთან შერიგება. თუ ელზას ლორენის ბედის გადასაწყვეტათ ჩვენ მოვითხოვთ სახალხო ხმის მიცემას, ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ვილსო-

ნის პროგრამის ძირითად პუნქტებს, რომელიც საფუძვლათ დაედო დროებით ზავს.

პრუსიის სამინისტრომ განაცხადა, რომ პრუსიის მთავრობა, ისე როგორც ვიურტემბურგის, ბადის და ჰესენის მთავრობა, აღიარებს ჰოფმანის სამინისტროს ერთად ერთ უფლებიან მთავრობას ბავარიაში.

**მდგომარეობა ბავარიაში.**

ჰამბერგში მყოფი ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი ჰოფმანი უიმედოთ არ უყურებს ბავარიის მდგომარეობას. ვიურცბურგში წესიერების აღდგენა, მისი აზრით, ბავარიაში მდგომარეობას შეცვლის.

როგორც უტყუარ ცნობებიდან სჩანს, ბავარიაში კომუნისტური მოძრაობა ხდებოდა რუსის ფულის დახმარებით, რომელიც შვეციიდან მოვიდა.

**აჯანყება პეტროგრადში.**

ფინური ტელეგრამების ცნობით აპრილის დასაწყისში პეტერბურგში ახალი აჯანყება მოხდა. ისმოდა დიდი აფეთქებები, რომელმაც ცეცხლი გამოიწვია. პეტროგრადში პანიკაა. მრავალი მცხოვრები წავიდა. აჯანყების მიზეზი ჯერ არ იციან. ცნობილია, რომ იყო ცდა აეფეთქებიათ წყალსადენი და სხვა დაწესებულებები, რომელთაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს, სხვა ხმების თანახმათ, რომელიც ფინლიანდიიდან მოდის, ფინეთ-რუსეთის საზღვარზე ბრძოლა იყო. ამის გამო ჰელსინფორსის გაზეთები გამოსთქვამენ შიშს, რომ ქვეყანა ომში იქნება ჩათრეული, მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი ამის სურვილი არ არის.

**მუშაობის განახლება შტუტგარტში.**

შტუტჰარში კვლავ აღადგინეს წესრიგა და სიწყნარე. მუშაობა ყველგან განახლდა. ფოსტა და რეინის გზამ მუშაობა დაიწყო. ისე რომ მოკლე ხანში საალყო წესების მოხსნას უნდა მოველოდეთ.

**გერმანია და ისპანია**

გერმანიის ცენტრალური მთავრობა უარს ყოფს ფრანგული პრესის ცნობას, რომ ისპანიაში გაფიცვების გამო მომხდარი არეულობა გერმანიის მონაწილეობის მიუღებლათ არ მომხდარა. ისპანიის არეულობას უკანასკნელ შემთხვევაში ის ელემენტები მოაწყობდენ, რომელთა წინააღმდეგ თვით გერმანიის მთავრობა აწარმოებს პოლიტიკურ ბრძოლას. ისპანიის მთავრობის მიერ დაჭერილ პირს, რომელიც ხელმძღვანელობდა გაფიცვებს და რომელმაც გეერმანიიდან ვითომ მიიღო 2 მილიონი, არავითარი დამოუკიდებლობა არ შეიძლება ქონდეს გერმანიის ოფიციალურ მართველობასთან.

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ანარქია ნეიტრალურ ზონაში**

„ჟოღოვურდ ძაინი" იტყობინება ლორის მაზრის სომხურ ნაწილში არავითარი ძალაუფლება აღარ არსებობს, მთელ მხარეში ანარქია ჰსუფევს. მცხოვრებთა ბედი ავაზაკთა ხელშია, ისინი სძარცვავენ და ხოცავენ სრულიად უპატრონოდ დატოვებულ ხალხს.

ავაზაკთა მთავარი ბანაკი სოფელ უზუნლიარია, საიდანაც ისინი ხელმძღვანელობენ თავის დამქაშებს.

**ბერძნების ყრილობა**

როგორც გაზ. „ბორბა" იწერება ახლო მომავალში ბათომში მოიწვევენ ელლინთა ყრილობას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ამიერ-კავკასიის ელლინები, ისე ოსმალეთისა. ყრილობის საგანს შეადგენს ელლინთა უფლებრივ მდგომარეობის საკითხი ასიერ-კავკასიაში და ოსმალეთში. საკითხებში სხვათა შორის ტრაპიზონის ბედის საკითხიც შედის.

**საარჩევნო უფლება საბჭოთა რესპუბლიკაში**

საბჭოთა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი რომელიც აკანონებს, რომ 1) არჩევნების დროს ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ მშრომელებს. 2) იმ ოლქებში ან რესპუბლიკეში, სადაც მოქალაქეთ რესპუბლიკისათვის რამე სარგებლობა მოაქვთ, იმათ ყველას, უკლებლივ ეძლევათ საარჩევნო უფლება. 3) იმ მოქალაქეთ, რომლებიც წინად ბურჟუაზიის რაზმებში იდგნენ და დღეს კი მათი მდგომარეობა ეთანხმება ამ დეკრეტის მე-2 მუხლის— მიცემის უფლება არ ეკარგებათ. 4) აგრეთვე 18 წელზე ნაკლებნი ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ. 5) ხმის მიცემა ფარულია. 6) საარჩევნო კომისიებში შედიან საბჭოთა და სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელნი.

**გვირაბი ხრუტის ქვეშ**

იტალიისა და სიცილიის გასაერთიანებლად იტალიაში შეიმუშავეს პროექტი მესინის სრუტის ქვეშ გვირაბის გაყვანისა. გვირაბში რკინის გზასაც გაიყვანენ.

# გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის წლიური კრება

ქ. გორში 1917 წლის ნოემბრიდამ არსებობს ვაჭარ მრეწველთა კავშირი, რომლის მიზანია შეიძინოს უძრავმოძრავი ქონება, გახსნას ქარხნები, საწყობები, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები, გამოიწეროს საქონელი დიდის პარტიობით და სხვა და სხვა. მთელი თავის არსებობის ხანაში კავშირს მხოლოდ უკანასკნელ მუხლისთვის მიუქცევია ყურადღება და სწორედ სთქვას კაცმა მას საქონელი ისეთს იაფ ფასებში გაუყიდნია, რომ არამც თუ ადგილობრივ ბაზრის გულისწყრომა გამოუწვევია, არამედ თვით გორის ქალაქის სასურსათო კომიტეტისა. ბრინჯი, რომელსაც სასურსათო კომიტეტი თექვსმეტ აბაზად ჰყიდდა, კავშირი თერთმეტ აბაზად ჰყიდდა, რამაც უსიამოვნება გამოიწვია კომიტეტის მხრივ. მაგრამ საუბედუროდ კავშირს ისე მცირე თანხა ჰქონია, რომ ვერ შესძლებია ფართოდ დაეყენებინა საქონლის შეძენის საქმე, ხშირად თურმე ძალიან მიმღებიანი და ხელ-საყრელი საქმე ხელიდგან წასვლია. კავშირს არსად არა ჰქონია კრედიტი გახსნილი და თვით ვაჭრები კი გარდა საწევრო გადასახადისა არაფერს აძლევდნენ კავშირს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ერთ გზივ მიჰმართავდა ხოლმე მათ კავშირი. ასეთს პირობებში მუშაობა და სარგებლობის მოტანა შეუძლებელი იყო. ამიტომაც კავშირს მთელის წლის განმავლობაში წმინდა მოგება მარტო 1182 მანეთი დარჩენია. თუმცა ეს ასეა, მაგრამ თვით ეს რიცხვი ბევრი რამის მაჩვენებელია. ის მცირე თანხა 16670 მან. რომელიც კავშირს ჰქონია ამაზედ მეტს ვერ მოიტანდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებს, რომ მოგებიდგან ბევრია დახარჯული მოსამსახურეებზედ და ინვენტარის შეძენაზედ.

კრებაზედ გამოირკვა, რომ კავშირი ჯერ კიდევ ვერ არის მოწყობილი და ბევრი რამ აკლია. არა ჰყოლია საკუთარი მოლარე, ფული ჰბარებია ერთს კაცს, რადგანაც ბანკში შეუძლებელი ყოფილა მისი შენახვა. ეს პირი კიდევ საკუთარი საქმეების გამო ხშირად გორში არ იყო ხოლმე და კავშირი უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა. არ ჰქონდა საკუთარი საწყობი და მისი საქონელი ხან ვისთან იყო მიკედლებული ხან ვისთან, იყიდებოდა აგრეთვე არა ერთს ადგილს არამედ სხვა და სხვა ადგილებში და სხვა. გამგეობის წევრები, გარდა ბატონ ქიტიაშვილისა, რომელსაც თავზედ აწვა მთელი საქმის გაძღოლა იშვიათად დაიარებოდა ვინმე კანტორაში.

ასეთ არა სასურველს და უნუგეშო მდგომარეობაში იყო თურმე ეს ჯერ კიდევ ნორჩი დაწესებულება, რომელიც ფრიად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მთელის მაზრისათვის. ამიტომ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ქიტიაშვილმა ასეთი წინადადება წამოუყენა კრებას: ან კავშირი უნდა დაიკეტოს, ან არა და სრული რეორგანიზაცია მოხდეს კავშირისა და თანხა ავიდეს 300 ათას მანეთამდის. კრება ერთხმივ დასთანხმდა ქიტიაშვილის წინადადებას და დაადგინა გადიდოს 200,000 მანეთი რომელიც გაიყოფება 300 პაიდ და თითო პაი ეღირება 100 თუმანი. პაის ღირებულება შეიძლება შემოტანილი იყვეს ნაწილ-ნაწილადაც, მაგრამ სრული მისი ღირებულობა უნდა გადახდილი იყვეს 1-ლ ივლისამდის. თითო პაის მქონეს ეძლევა ერთი ხმა, მხოლოდ სამს პაიზედ მეტის შემძენს ორი ხმა.

აი ასეა ამ კავშირის საქმე. ზოგიერთი უნდობლობით უყურებს კავშირს, მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით, თუ ხსენებული თანხა იშოვნა კავშირმა და სასურველნი პირხი ამოირჩია გამგეობაში მაშინ საქმე კარგად წავა, რადგანაც მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ფულის უქონლობა იყო და თუ ფულს მივცემთ კავშირს, ისიც შესძლებს საქმის გაფართოვებას და უკეთესად დაყენებას.

ერთი რამ არ შეგვიძლიან არ ვურჩიოთ კავშირს, გორში ამ მეხილეობის ცენტრში ხილის კონსერვების ქარხნის დაარსება. ამ ქარხნის დაარსება მეტად ხელსაყრელი იქნება. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გორში ხშირად იმდენი ხილია, რომ მისი ნედლად გადატანა შეუძლებელი ხდება ხოლმე და ბევრი გაუტანლობის გამო ადგილობრივ ფუჭდება და ლპება.

ზ. ედილი.

# ჯართან დაახლოვება და მისი გაცნობის საჭიროება

ამ ბოლო დროს ბევრი იწერება გაზეთებში ჩვენი ჯარის შექმნისა და მისი აღზრდა-მომზადების შესახებ. ყველა გაიძახის: საჭიროა ძლიერი და კარგად შეიარაღებული ჯარი სამშობლოსა და მისი თავისუფლების დასასაცავად, მაგრამ არც ერთი ჩვენი ინტელიგენტი ნაბიჯს არა სდგამს და ხელს არ უწყობს ჯარის შექმნას. ყველას თვალყური მიპყრობილი აქვს სამხედრო სამინისტროზე და აფიცრობაზე და მათგან მოელიან მზა-მზარეულად ყველაფერს.

იმას კი ვერავინ გრძნობს და ის არავინ იცის, რომ ქართველ ერს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სამშობლოს ჯარის შექმნაში და მის აღზრდაში.

წავიდა ის დრო, როდესაც ჯარი დაშორებული იყო საზოგადოებასთან, წავიდა ის დრო, რომ მათ შორის უფსკრული ივო. ძველად მოსამსახურე ჯარისკაცი, დიდ ვადიან სამსახურის გათავების შემდეგ შინ დაბრუნებას ველარ ახერხებდა, ძველ სახლის კერას ვეღარ ეგუებოდა, თავის მეზობლებს გაურბოდა, შინ მუშაობა ეძნელებოდა და მომეტებულ ნაწილად ქალაქებს აფარებდა თავს.

დღეს ეს აღარ არის. მოკლე ვადიანმა სამსახურმა საერთო ძაფი გააბა სოფელსა და ყაზარმას შორის. ჯარისკაცი ისევ სოფლის მუშის ღვიძლ შვილად რჩება, მას სამსახურში ყოფნის დროსაც შეძლება ეძლევა დრო-გამოშვებით შინ ყოფნისა და მუშაობისა. ზომები უნდა მივიღოთ, რათა ის მუშაობა, რომელიც წინათ ყაზარმაში სწარმოებდა ჯარის სწავლა ვარჯიშობისა, დღეს განაწილებულ იქმნას საზოგადოებასა და ყაზარმის შორის.

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებმა ამას კარგი ხანია მიაქციეს ყურადღება და სასურველი შედეგებიც მიიღეს.

იაპონიამ, ხომ ამ მხრივ ევროპასაც გადააჭარბა. იქ ჯარისკაცების მოსამზადებელი პირველი ხანა სოფელში იწყება, მათი სკოლებიც ხომ, ასე ვსთქვათ, ჯარის მოსამზადებელი პირველდაწყებითი სკოლებია. იაპონელი ჯარისკაცი ყაზარმაში ნახევრად მომზადებული მიდის. ყაზარმაში მხოლოდ მათი ცოდნის გაწვრთნა გავარჯიშება სწარმოებს.

იქ ყაზარმასა და სოფლის შორის განუწყვეტელი კავშირია.

განა ასეა ჩვენში? სრულებითაც არა. ჩვენში ჯარსა და საზოგადოების შორის, სოფელსა და ყაზარმას შორის უფსკრულია. ჩვენი ხალხი, ნამეტურ ინტელიგენცია, არ იცნობს ჯარს, განცალკევებულია მისგან, აქედან იბადება გულგრილობა ჯარისადმი. არ არის პატივისცემაც და როცა პატივისცემა არ არის არც იქნება სიყვარული.

ჩვენს საზოგადოებაში არ არის ჯარის შესახებ მუშაობა.

ჩვენს მოქალაქეებს მოკლედ მაინც რომ ჰქონდეთ გაცნობილი ჯარის მნიშვნელობა, მისი ყოფა-ცხოვრება, შეიძლება მაშინ ცოტათი მაინც გაუღვიძებდა მათ ჯართან დაახლოვების სურვილს და აღუძვრიდა სამშობლოსა და ერის სიყვარულს და მასთან ერთად, რასაკვირველია, თითონ ჯარისადმი პატივისცემას.

საფრანგეთმა ამას დიდი ხანია ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. იქ ასეთი ფაქტი იყო: ერთ-ერთ უნივერსიტეტის რექტორმა თხოვნით მიმართა სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის უფროსს: „უმორჩილესათ გთხოვთ, თუ შესაძლებლად დაინახავთ, გამოგზავნოთ უნივერსიტეტში რამოდენიმე მასწავლებელი, რომლებიც სამხედრო თემებზე ლექციებს წაუკითხავენ სტუდენტებს".

გერმანიამ ხომ დიდი ნაბიჯი გადასდგა ამ საკითხში.

გერმანელი მოქალაქე დაწვრილებით ჩამოგითვლიდა რაზმების სახელებს, სად რომელი რაზმი იდგა და რა სახელი ჰქონდა მოპოვებული ბრძოლაში. შესანიშნავი ყოფილი ბრძოლის ველები მუზეუმებად აქვს გადაქცეული.

ქ. მეცის გარშემო ათასამდე გმირთა ძეგლებია აგებული, რომლებთანაც ხშირად იკრიბებიან, პატივით მუხლს იყრიან და დიდის პატივს ცემით იგონებენ მეომართა საგმირო საქმეებს და მათ მამულისათვის თავდადებულებას. ეს ადგილები ერთგვარ წმიდა და სალოცავ ადგილებად ითვლებიან.

როდესაც იმპერატორმა ვილჰელმა მოისურვა ძლიერი სამხედრო გემების შექმნა, მან უბრალო ხალხს მიმართა, მოეწყო სოფლებში ლექციები ბუნდოვანი სურათებით, ხალხს ყველგან უხსნიდენ სამხედრო გემების მნიშვნელობას, უღვიძებდნენ სამშობლოსადმი სიყვარულს და ძლიერი ფლოტის შექმნის საჭიროებას.

იმპერატორი არ მოსტყუვდა, ხალხში მოიპოვა თანაგრძნობა და ძლიერი ფლოტიც შექმნა.

გერმანიის ქალაქებში ხშირ-ხშირად აწყობენ სამხედრო სახის გამოფენებს, სადაც უბრალო ხალხი ეცნობა ჯარს და მათ მიმართულებას. გამოფენის თითეული მნახველი რწმუნდება მასში, რომ თუმცა ჯარის შენახვა ძვირად უჯდება სახელმწიფოს, მაგრამ უჯაროთ სამშობლოს არსებობა არ შეუძლია და ამისათვის ხარჯსაც არ ერიდებიან.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული გერმანიაში სამხედრო ლიტერატურასაც

ინტელიგენცია დაუღალავათ მუშაობს და ათასობით იბეჭდება სამხედრო გაზეთები, ჟურნალები და ჯარის კაცებისათვის საკითხავი პატარ-პატარა წიგნაკები—რომლებიც მამულის სიყვარულს უმაღლებს და უმტკიცებს ჯარის კაცს.

როგორ ეპყრობიან გერმანელები ახლად ჯარში გაწვეულებს. ახალი ჯარის კაცი ამაყად დადის ქუჩებში, მედიდურობს და თავი მოაქვს მითი, რომ ის ჯარშია გაწვეული, ქუდი მორთული აქვს ეროვნული ლენტებით, სახეზე მხიარულება ეტყობა. ყველა მას ულოცავს, ესალმება, უმასპინძლდება და პატივსა ცემს. ყველას ერთი დევიზი აქვთ დასახული: პატივისცემა და სიყვარული სამშობლოს ჯარს.

(დასასრული იქნება).

# მცირე შენიშვნა

წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც გაისმა ხმა, რომ ალექსანდრენეველის სახელობაზე აშენებული რუსთაველის ქუჩაზედ სამხედრო ტაძარი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებაში გადმოდისო, მაგრამ მას დაეპატრონა თბილისში თავისუფლად მმოქმედი ყოფილი სინოდალურ კანტორის წევრთა ნაშთი, რომელიც ცდილობს გადიაქციოს იგი რუსული ეპარქიის საკათედრო ტაძრად.

გამართლდება ხმა, თუ დარჩება იგი ტაძარი ახლანდელი პატრონების ხელში სამუდამოდ—ეს, რასაკვირველია, მომავლის საქმეა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ახლავე ის შეუფერებლობა, რომელსაც ადგილი აქვს ხსენებული ტაძრის გარშემო. იმ ადგილზედ, რომელიც შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებას და თვალსაჩენი ალაგია თბილისში. ამართულია უცხო სახელმ.საკუთარი ტაძარი და როდესაც რესპუბლიკის მთავრობა ჰმართავს საზეიმო დღესასწაულებს და რესპუბლიკის ჯარების გამოსვლა-დათვალიერებას ტაძრის ეზოში, შიგ ტაძარში ამავე დროს სწარმოებს ღვთის მსახურება უცხო ენაზე და აღამაღლებენ ღვთისადმი დაცვას სრულიად რუსეთის მფლობელობაზე და მოსკოვის პატრიარქის დღეგრძელობაზე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მშვენიერი ბაღი ტაძრის წინ გაშენებული და რუსთაველის ქუჩაზე გამომავალი გარდააქციეს ტაძრის ახლანდელმა უპასუხისმგებლო პატრონებმა სასაფლაოდ და, ალბად თავის ნებითა და ვისიმე დაუკითხავათა და ნების დაურთველად, ჰმარხავენ იქ, ვინც მოეპრიანებათ.

ამ დღეებში გაისმა ხმა, რომ თბილისის გარნიზონის უფროსმა გასცა ბრძანება, რათა თბილისში მდგომ ქართველ ჯარს შაესრულებინა თვისი ქრისტიანული მოვალეობა—მიეღოთ წმ. საიდუმლო ზიარებისა — ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში. მაგრამ როცა შევიდნენ თურმე ტაძარში ჯარის კაცები და გაიგონეს, რომ ღვთის მსახურება სწარმოებდა უცხო და გაუგებარს ენაზე, იგრიალეს და გამოვიდნენ ტაძრიდამ და გაუდგნენ გზას ყაზარმებისაკენ. ძლივს-ძლიობით მოასწრო თურმე ჯარების უფროსმა მღვდელმა დეკანოზმა თოთი ბაძემ შესრულება ღვთის მსახურებისა ქართულ ენაზედ, რის შემდეგაც ჯარებმა კმაყოფილებით აღასრულეს თვისი ქრისტიანული მოვალეობა.

მაგრამ რას ჰნიშნავს ეს მოვლენა? ხმის გამართლებაა იგი და ტაძრის სრულიად დაპატრონება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყების მიერ, თუ მოჩვენებაა? ან მოწყალეობა?

დეკ. ნ. ნათიძე

# კორესპონდენცია

## დუშეთის მაზრა.

მიუხედავათ იმისა რომ მამული აქაურებს ყველასა აქვს თითქმის-გლეხები თავის მამულს „ასვენებენ" და მემამულეების მიწებზე ერთი თავის მტვრევა აქვსთ. ამ დღეებში „საგაზაფხულე" მიწაზე ტერიშვილის მამულზე გრემისხევში გლეხები ერთმანეთს დაერივნენ, ბეკურიშვილის დედაკაცი მიეშველა თავის ქმარს და ძულიშვილს ჯოხით თავი გაუპეს.

სწორედ ასეთი არეულობა იყო შარშან გამოზაფხულზედ—რომ შეიარაღებული ხალხი დაძრწოდა უბან-უბან და გორებიდან ძალით პურსა ყრიდენ, ვითომ „ბურჯუებს" ართმევდენ. წელს მოსავალი უხვი იყო მაგრამ შეშინებულ ხალხმა თავის ნამუშევარს პურს ადრევე უჩვენა ადგილი და ნახევარ ფასში მიჰყიდეს დუშელ-ახალ-გორელ „სედრაკა კარაპეტებს". ამ უკანასკნელებს ბნელ „პადვლებში" აქვსთ დამალული, რომ განგებ სიმშილის ნიადაგზე არეულობა დაბადონ ჩვენს ქვეყანაში.

მაზრაში ძლიერ გახშირებულია ძარცვა-გლეჯა. საქართველოს სამხედრო გზა ხომ ბრძოლის ველად გახდა—ყოველ-დღე იცარცვება მგზავრები და განუწყვეტელი სროლაა მათ შორის. დღევანდელი მაზრის კომისარი—ახალ გორში მყოფობის დროს საუკეთესო ადმინისტრატორი იყო—დღეს კი როცა მაზრა ჩაბარდა ჩვენს განკვირვებას საზღვარი არა აქვს—როცა ყოველივე ეს მის მაზრაში ხდება და იგი დუშეთში იმყოფება.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დუშეთის ძლიერ გაიკრძალებს ქართულში; თითქმის მეტ წილად უწყებები რუსულად იწერება და დეპეშებიც შინაარსის გარდა—ნახევრად რუსულია დეპეშის მიმღებიც ხშირად რუსულად აწერს ხელს.

დუშეთში არსებობს მაზრის „კოოპერატივთა კავშირი" რომელიც დაუფასებელ სამსახურს უწევს მაზრას და მის კოოპერატივებს მაგრამ აქაც ერთნაირი „კინკლაობაა" გამართული პარტიულ ნიადაგზე ფედერალისტებსა და მენშევიკთა შორის—თუმცა სასურველი არაა საქმისთვის, რადგან ხალხს უნდა „საქმე" და არა პარტიის გამარჯვება.

ადგილობრივი ერობა უკვე შეუდგა მაზრაში ტელეფონის მოწყობას, თუმცა ზოგი დიდი რაიონები გამოუტოვებიათ, მაგრამ იმედია ისიც გამოსწორდება და საქმე სასურველ ნიადაგზედ მოეწყობა.

ამ ბოლო დროს აქაურ სამღვდელოებამ მოუხშირა კრებებს დუშეთში როგორც ირკვევა სასულიერო მთავრობა ვერ უწევს მათ შესაფერ მეთაურობას „ყველა პარტიას ჰყავს თავის ლიდერი და აქვს საკუთარი პარტიის გამომხატველი ორგანო, რომელიც იკრებს გარშემო თავის წევრებს—სამღვდელოება კი უპატრონო ცხვარივით არის გაშვებული და მაშინ როცა თვითეული ჩვენთაგანი არაფერს დაიშურებდა სასულიერო ორგანოს დაარსებისთვის მთავრობა ამას არ მეთაურობსო." აი რა სიტყვები გავიგონე მათ კრებაზე. მართლაც და დამფუძნებელი კრების დროს ზოგი მღვდელი მესამე ნომერს აგდებდა ყუთში—ზოგიც პირველს, ამის შემდეგ ნუ თუ მართლა არა სტყუიან სოფლის სამღვდელოებასთან მათი წინამძღოლები?

მაზრაში წელს ძლიერ კარგი პირი უჩანს მოსავალს თუ შემდეგაც დრომ ხელი შეუწყო.

მთის მოძღვარი.

# ჩვენი ფოსტა

**ს. ნინოწმინდა.** დეკანოზ ალექსი გულისაშვილს. გაზეთი ახალ მისამართით გეგზავნებათ.

წერილები გვიგზავნეთ.

# მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის კეჰელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—39


სტამბა „კავკასიონისა", გამეცის შესახვევი № 4.